

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება N MOD 8 21 00000100

2021 წლის 01 მარტი ქ.თბილისი

**საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მინისტრის პირველ
მოადგილესა და**

**მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა
გამიჯვნის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განაწილდეს უფლებამოსილებანი საქართველოს თავდაცვის მინისტრს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილესა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეებს შორის შემდეგი სახით:

ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) გენერალური ინსპექცია;

ა.ბ) სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ა.გ) სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

ა.დ) სამინისტროს ადმინისტრაცია;

ბ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის - ლელა ჩიქოვანის დაქვემდებარებაშია:

ბ.ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი;

ბ.ბ) სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი;

ბ.გ) სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტი;

ბ.დ) სამინისტროს რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;

ბ.ე) სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი;

ბ.ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის - გრიგოლ გიორგაძის დაქვემდებარებაშია:

გ.ა) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

გ.ბ) სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი;

გ.გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;

ბრძანება N MOD 1 21 00000329 26.04.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის - დავით სუჯაშვილის დაქვემდებარებაშია:

დ.ა) სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტი;

დ.ბ) სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

დ.გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიურო;

ე) საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის - ზურაბ აზარაშვილის დაქვემდებარებაშია:

ე.ა) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი;

ე.ბ) სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;

ე.გ) სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი;

ე.დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე **გრიგოლ გიორგაძე** ასრულებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

ბრძანება N MOD 1 21 00000329 26.04.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 26 სექტემბრის N

MOD 4 19 00000578 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე